სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

03 ივნისი 2024

N 135

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 07 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის, „კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 7 მაისის №112 ბრძანებისა და კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) წევრთა შერჩევის პროცესის შესახებ 2024 წლის 3 ივნისის №1 ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) მიერ გამოცხადებული კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით, შეიქმნას საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობა (ჟიური) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **მაია არჩვაძე** - სცენარისტი, კინორეჟისორი;

ბ) **გიორგი კაჭარავა** - სცენარისტი, კინორეჟისორი, პროდიუსერი;

გ) **რამაზ იოსელიანი** - მსახიობი;

დ) **ნათია გოგოჭური** - სცენარისტი;

ე) **თინათინ ყაჯრიშვილი** - კინორეჟისორი.

2. კომისიის მდივნად განისაზღვროს ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის ფილმწარმოების სპეციალისტი - **მაკა ლომია.**

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კომისიის წევრებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები და იმავე ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი